სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №46

ქ. ბათუმი 24. 02. 2014 წელი

ერთის მხრივ **შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** წარმოდგენელი დირექტორის მინდია კახიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია"** (ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2-ა), წარმოდგენელი დირექტორის გიორგი გორგილაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება)-„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებისა და „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის" საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.„შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5.„მიმწოდებელი" - იურიდიული პირი, რომელიც აწვდის შემსყიდველს შესყიდვის ობიექტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.„შესყიდვის ობიექტი" – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი და მომსახურება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს **მომსახურება: ტექსტის აკრეფა, დამუშავება და სამაგიდო-საგამომცემლო საშუალებებით მომსახურება,(დაბეჭდვა-გამოქვეყნება)**, შემდგომში მომსახურება.
2.2. კლასიფიკატორის კოდი: 79550000.

3. სტანდარტები და გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი შესყიდვის ობიექტის მიწოდება.
3.2 მიმწოდებელი ვალდებლია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდნ რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
3.3. მიმწოდებლის მხრიდან ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადენს 500 (ხუთასი) ლარს.
4.2. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულების ჯამური თანხის ფარგლებში.
4.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისას შესრულებული მომსახურების ღირებულება ნაკლები იქნება ხელშეკრულების ჯამურ თანხაზე, აღნიშნული მხარეებს შორის რაიმე პრეტენზიის უფლებას არ წარმოშობს.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას შემსყიდველისათვის მოთხოვნის შესაბამისად გამოქვეყნებით.
5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.2. ანგარიშსწორება ხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით (საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა).
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება და ინსპექტირება (კონტროლი);
ბ) მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებსა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია: გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით..

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) და შემოწმება

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ან შეამოწმოს მიწოდებული მომსახურება. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, შესრულებული სამუშაოს რეაბილიტაცია და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
8.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

10.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
10.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (ორი შემსყიდველისათვის, ერთი მიმწოდებლისათვის) და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. გადასახადები და გაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა 154.	*ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2-ა*
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“	**შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“**
ანგარიშის № GE92TB4457736020100006	*ანგარიშის №GE28TB1050936020100002*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490	*საიდენტიფიკაციო კოდი: 245427783*
მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს ბათუმის ფილიალი	*მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ს ბათუმის ფილიალი*
ბანკის კოდი: *TBCBGE22*	ბანკის კოდი: *TBCBGE22*
დირექტორი მიხეილ ჯანიძე	დირექტორი გიორგი გორგილაძე